

დარგობრივი ტერმინოლოგიის თარგმნის სირთულეები საერთაშორისო
კომპანიის სამუშაო სივრცეში

თეონა ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა ნოზაძე

2022 წლის 29 ივნისი

აბსტრაქტი

ნაშრომში ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო კომპანიის სივრცეში არსებულ კომუნიკაციის პრობლემებს, გამოყენებულ ტერმინებს, აბრევიატურებსა თუ თანამდებობების დასახელებებს. გავაკეთებთ სიტყვების, ტერმინების და თანამდებობების დასახელებების ჩამონათვალს, რომლებიც ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო კომპანიის სამუშაო სივრცეში. შევეცდებით ყველა სიტყვას წარმოვუდგინოთ ქართული შესატყვისი, ხოლო სადაც არ გვექნება ასეთი, ჩვენით შევქმნათ.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო კომპანიების შემოსვლა საქართველოში მზარდი და შეუქცევადი პროცესია, ასეთი ტიპის ტერმინთა და სიტყვათა ჩამონათვალი სამომავლოდ გააადვილებს კომუნიკაციას ქართულ ენაზე, საერთაშორისო კომპანიების სივრცეებში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კომპანიების ოფიციალური სამუშაო ენა ინგლისურია, ქართულენოვანი თანამშრომლები ერთმანეთში კომუნიკაციისთვის ქართულ ენას ირჩევენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ტერმინების განმარტებებთან და ქართულ შესატყვისებთან.

საკვანძო სიტყვები: დარგობრივი ტერმინები, აბრევიატურა, ნასესხობები, საერთაშორისო კომპანიების ენა.

Abstract

The work will focus on communication problems in the international companies. The terms, abbreviations or positions used in Georgian language. We will make a list of words, terms and position names that are mainly used in the everyday work of an international company in Georgia. We will try to have appropriate meanings to every foreign word in Georgian language. Where we do not have such, we will try to create them by ourselves.

The fact is that international companies are coming to Georgia and this process is growing and irreversible. The list of mentioned terms and words will facilitate future communication in Georgian language in international companies. Despite that fact that the official working language of international companies is English, Georgian-speaking employees choose Georgian as the language of communication. Therefore, it is extremely important that they have access to the definitions of foreign terms in Georgian language.

Key words: Field terms, abbreviations, borrowings, language of international companies.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი თემის ხელმძღვანელს, ილიას უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს. სასწავლო კურსის გაცნობის დღიდან, ქალბატონ სალომეში ვხედავ თავისი საქმის უდიდეს სიყვარულს, რაც მოტივაცია იყო და არის ჩემთვის.

დიდი მადლობა მთლიანად ფაკულტეტსა და პროგრამას, რომ საშუალება მომცა მემუშავა ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხზე. 7 წლიანი სამუშაო გამოცდილების პერიოდში, მუდმივად მქონდა კითხვის ნიშნები, თუ რატომ ხდება ქართული ენის ასე მკვეთრად დამახინჯება საერთაშორიო კომპანიების შიდა კომუნიკაციაში. მოხარული ვარ, რომ მცირე წვლილს შევიტან ამ დარგის ტერმინების გაცნობასა და დაზუსტებაში, რაც კვლევის შედეგად მოიცემა მცირე ლექსიკოგრაფიული სახით. მადლობა კომპანიებს, სადაც ვიმუშავე და ვმუშაობ ახლა, გამოცდილებისთვის და შესაძლებლობისთვის, რომ კვლევის საკითხად წარმომეჩინა არსებული რეალობა და ჩამეტარებინა დარგობრივი კვლევა.